

K 227829  
3

პანთეონის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



*ხელნაწერის უფლებით*

ზაალ ღავითის ძე აბაშიძე

## სერბი გორბაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

სპეციალუბა 07. 00. 02 – საქართველოს ისტორიის  
წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

ავტორეფერატი  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაკრებლად

თბილისი  
1997

90(47922)+28197(09)



ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მარიამ დავითის ასული ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

ექსპერტი – ბადრიძე შოთა აბრამის ძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები – კაციტაძე დავით ვარლამის ძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

არახამია გონელი მიხეილის ძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

14<sup>00</sup>

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წ. „20“ „X“ საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე – HO701C11 (380026, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1, აუდ. №)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია 17 „X“ 1997 წელს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნ. ვაჩნაძე

*ნათელა ვაჩნაძე*

ნაშრომის ზოგადი ღახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა. XIX საუკუნის ბოლო ათწლეულები და XX საუკუნის დასაწყისი, განსაკუთრებული ეტაპია მრავალსაუკუნოვანი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ამ პერიოდს უკავშირდება ისეთი თვალსაჩინო მეცნიერების მოღვაწეობა, როგორცაა დ. ბაქრაძე, ს. ბარათაშვილი, ა. ცაგარელი, ნ. მარი, ნ. ურბნელი, ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ი. ფერაძე და სხვ. ამ ისტორიკოსთა განსაკუთრებულ „ღვაწლად უნდა ჩაითვალოს ისეთი შრომატევადი და რთული საქმის შესრულება, როგორცაა საქართველოს ისტორიისათვის სათანადო მასალების შეგროვება-გამომწეურება. ამ მხრივ მათ უპირველესი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას.<sup>1</sup> მოუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარებას, სამართლიანად უკავშირებენ ივანე ჯავახიშვილის სახელს, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე. ამავე პერიოდში იწყება შესანიშნავი მეცნიერის სერგი გორგაძის (1876-1929 წწ) სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სერგი გორგაძე 900-იანი წლების დასაწყისიდანვე აღმოჩნდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში. მან დიდი ამაგი დასდო ერის გონებრივ წინსვლა-განვითარებას და ზნეობრიობის მაგალითი მისცა ქართველთა არაერთ თაობას.

ს. გორგაძის კალამს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

ს. გორგაძის მეცნიერული მემკვიდრეობა ცხადყოფს, რომ ქართულ მეცნიერებას მისი სახით ჰყავდა „არა მარტო მოყვარული ქართული სიძველეებისა, არამედ მათი მეცნიერულად მომზადებული და მეთოდოლოგიურად გაწვრთნილი მკვლევარი“<sup>2</sup> ბრწყინვალე

<sup>1</sup>. გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 1973, გვ. 6

<sup>2</sup>. ს. ჯანაშვილი, ს. გორგაძე, ჟურნ. „დროშა“ №11, 1929, გვ.12

6287829  
2097522

საეპ-2000  
შემოწმებულია

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი, წყაროთმცოდნე არქეოლოგი.

ს. გორგაძის გამოკვლევების დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოქვეყნებულ-ლი, მაშინ, როდესაც მათი გამოცემის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს მიუთითებდა ს. ჯანაშია.

აღსანიშნავია, რომ არათუ ამ ნაშრომების პუბლიკაცია, არამედ ს. გორგაძის გამოქვეყნებული მეცნიერული მემკვიდრეობა არ არის ჯეროვნად შეფასებული. მეტიც, მისი სახელი და მოღვაწეობა დაუმსახურებლად არის მივიწყებული და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი.

თავის დროზე, ს. გორგაძის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ თ. ჟორდანი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტაია, შ. ძიძიგური. ეს არის ძირითადად, პირად ბარათებში და საგაზეთო წერილებში გამოთქმული აზრები ს. გორგაძის ამა თუ იმ პუბლიკაციასა თუ ნაშრომის შესახებ ან მისი მოღვაწეობის მოკლე, ზოგადი დახასიათება.

თუ არ ჩავთვლით ფილოლოგ ლ. გრიგალაშვილის ერთადერთ ნარკვევს ს. გორგაძეზე, როგორც ლიტერატურათმცოდნეზე,\* დღეს ვერსად ვერ შევხვდებით ამ მეცნიერის მდიდარი და მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის მეცნიერულ შეფასებას.

განათლებით ისტორიკოს-კანონისტმა, ს. გორგაძემ, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. მისი პირველი, სოლიდური შრომა „ეკლესიის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა ძველ საქართველოში“, რომლისთვისაც ავტორს ლეთისმეტყველების ხარისხი მიენიჭა, სწორედ საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემებს მიეძღვნა. ამის შემდეგ, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია ს. გორგაძეს საქართველოს ისტორიის კვლევა და არაერთი საყურადღებო ნაშრომი თუ სახელმძღვანელო შექმნა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. გორგაძის დამსახურება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში – მან რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა IV-VI სს. ქართლის

\* იხ. ლ. გრიგალაშვილი, სერგი გორგაძე, კრებული „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი“, თბ., 1986



ეკლესიის ისტორიის საკვანძო საკითხებს და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ს. გორგაძის ზოგიერთი დებულება დღეს შეიძლება სადავო იყოს, იგი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ეკლესიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ს. გორგაძის, როგორც ისტორიკოსის, მეცნიერული ინტერესი იმდენად ფართოა, ხოლო, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა იმდენად მდიდარი, რომ სადისერტაციო ნაშრომის მიზნად ვერ დავსახავდით მთელი ამ მემკვიდრეობის შესწავლა-შეფასებას.

სადისერტაციო ნაშრომში სერგი გორგაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპების ჩვენებასთან ერთად მოცემულია მისი ღვაწლის წარმოჩენის ცდა ჩვენი საეკლესიო ისტორიის კვლევაში.

გამოკვლევის მიზანია შევისწავლოთ ს. გორგაძის ნააზრევი IV-VIII საუკუნეების საქართველოს (ქართლის) ეკლესიის ისტორიის საკვანძო პრობლემებზე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდის ეკლესიის ისტორიის არაერთი საკითხი მკვლევართა შორის დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, ს. გორგაძის ნააზრევის გათვალისწინება აუცილებელია.

მეცნიერული სიახლე და შედეგი. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ს. გორგაძის კვლევის შედეგები და მისი დასკვნები დღესაც არ კარგავს მეცნიერულ ღირებულებას. აღნიშნულია, რომ ს. გორგაძის ზოგიერთი დებულება, რაც შემთხვევაში, გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, რაც უდავოდ მიგვითითებს მეცნიერის ნააზრევის მნიშვნელობასა და მისი გათვალისწინების აუცილებლობაზე.

სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი ს. გორგაძეზე არსებული დოკუმენტური მასალა, რომელიც ავტორმა მოიძია თათარსტანის სახელმწიფო არქივში (ქ. ყაზანი) და ს. გორგაძის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც იმავე არქივში არის დაცული. გარდა ამისა, ასევე პირველად არის წარმოდგენილი საოჯახო არქივში დაცული ს. გორგაძის პირადი დღიური, მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მეცნიერის შვილის დ. გორგაძის მოგონებები. ეს დოკუმენტები საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ არა მარტო ს. გორგაძეზე, არამედ 1910-20-იან წლებში საქართველოს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე. ვფიქრობთ,

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ს. გორგაძის მრავალმხრივი მეცნიერული შემოქმედების ერთი უბნის განხილვაც კი, ნაწილობრივ შეავსებს ქართული ისტორიოგრაფიის იმ ხარვეზს, ს. გორგაძის მემკვიდრეობის შესწავლა-შეფასებაში რომ არსებობს და გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის სისტემატიზაციის საქმეში.

ნაშრომის მნიშვნელობა. ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკლესიის ისტორიით და ქართული ისტორიოგრაფიით დაინტერესებულ მეცნიერებსა და სტუდენტებს.

### ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო თემა დამტკიცებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (იხ. 1984 წლის 19 ივნისის ოქმი № 11). ნაშრომის აპრობაცია მოხდა 1997 წლის 30 მაისს (იხ. ოქმი № 9).

თსუ საქართველოს ისტორიის კათედრამ ნაშრომის ავტორს მისცა რეკომენდაცია, რათა ნაშრომი წარდგენილიყო სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოზე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

### ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

### ნაშრომის ძირითადი შინაარსი

წინასიტყვაობის (გვ. 2-3) მიზანია თემის აქტუალობის და ნაშრომის ძირითადი ამოცანის ჩვენება.

შენსაკვალნი - ს. გორგაძის ცხოვრება და  
მოღვაწეობა (გვ. 5-29)

ნაშრომის ამ ნაწილში პირველად სისტემატიზირებული სახით, გადმოცემულია ს. გორგაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, მიმოხილულია ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში მეცნიერის მიერ შეტანილი წვლილი. ხაზგასმულია, რომ ს. გორგაძე, როგორც მეცნიერი და პედაგოგი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ დარჩენილა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო ცხოვრების თითქმის არც ერთი უბანი, სადაც ს. გორგაძეს თავისი სიტყვა არ ეთქვა. მართო ის რად ღირს, რომ ს. გორგაძე იყო საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დაწესებულებების - საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, საენათმეცნიერო და საფილოსოფოსო საზოგადოებების, აგრეთვე სატერმინოლოგიო კომიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მუდმივი წევრი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. გორგაძის დაუღალავი შრომა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ე. თაყაიშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, და ფაქტიურად უცვლელი მდივანი, თავად იყო.

წლების განმავლობაში ს. გორგაძე განაგებდა საზოგადოების ბიბლიოთეკას და მუზეუმს, დიდია მისი დამსახურება ქართულ სიძველეთა მოპოვება-შენახვის, გამოცემის და შესწავლის საქმეში. მნიშვნელოვანია ს. გორგაძის არქეოგრაფიული მოღვაწეობა. მას ეკუთვნის ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათვის კაცისა“ იოანე პეტრიწონელის თარგმანის პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) გამოცემა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ს. გორგაძესვე ეკუთვნის პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის - „შუშანიკის მარტვილობის“ პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა (1917 წ.). 1927 წელს მან გამოსცა ცნობილი „სვანური მრავალთავი“.

ფასდაუდებელია ს. გორგაძის მოღვაწეობა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში, რომლის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორიც იყო გარდაცვალებამდე. მისი „ენერგიული თავდადებული და დაუღალავი მუშაობით არის შექმნილი და შეკრებილი ის მეტად



ძვირფასი კოლექცია, რომელიც უძვირფასეს მასალას წარმოადგენს საქართველოს მატერიალური კულტურის შესასწავლად და რომელიც თავის დროზე რომ არ შეგროვილიყო შემდეგში არავითარი ფასით არ შეიძინებოდა“<sup>3</sup>.

ს. გორგაძემ, როგორც სწავლულმა და მოქალაქემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში. იგი არჩეული იყო, ჯერ, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის, ხოლო შემდეგ საკათალიკოსო საბჭოს შემადგენლობაში.

უაღრესად დიდი მუშაობა გასწია სერგი გორგაძემ საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი განძეულობის დასაბრუნებლად. შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ქართულ სიძველეთა დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება ს. გორგაძის ინიციატივით დაიწყო. შემდეგში, როგორც მუხეუმის დირექტორი, ს. გორგაძე გახდა დაბრუნებული რელიქვიების ნაწილის პირველი მიძღვენი.

ხაზგასასმელია ს. გორგაძის პედაგოგიური მოღვაწეობა.

1901 წელს რუსეთიდან დაბრუნებული ს. გორგაძე მუშაობას იწყებს ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად და ამის შემდეგ მეოთხედი საუკუნე ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.

წლების მანძილზე ასწავლიდა ს. გორგაძე ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას თბილისის სხვადასხვა გიმნაზიებში, ქალთა უმაღლეს კურსებზე, საეპარქიო სასწავლებელსა და სამასწავლებლო ინსტიტუტში.

საშუალო განათლების წინაშე ს. გორგაძის დამსახურება მარტო მისი პედაგოგიური მოღვაწეობით არ ამოიწურება. იგი ავტორია საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და შემდგენელ-რედაქტორი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიებისა.

ს. გორგაძე პირველი პედაგოგი და მეცნიერი იყო ქართულ სინამდვილეში, ვინც შეადგინა და გამოსცა ქართული სკოლისათვის ესოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები. ს. გორგაძის

---

<sup>3</sup>. გ. ჩიტაია, ს. გორგაძე (ნეკროლოგი) საქართველოს მუხეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 329

„საქრესტომათიო წიგნები უბადლოა მასალის შერჩევით, კრიტიკულად დადგენილი ტექსტებით და ვრცელი შენიშვნა-კომენტარებით“.<sup>4</sup>

ალსანიშნავია ს. გორგაძის ზრუნვა ქართული კულტურის ძეგლების დაცვაზე. ს. გორგაძე არჩეული იყო ჯვრის ტაძრის შემკეთებელი კამისიის, სვეტიცხოვლის განახლებისა და ბაგრატიის ტაძრის აღდგენის კომიტეტების წევრად.

ს. გორგაძე ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იწყებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას. 1900 წელს გაზანის სასულიერო აკადემიის IV კურსზე სწავლისას ს. გორგაძე აკადემიის ფილოსოფიური წრის სხდომაზე კითხულობს მოხსენებას „ფილოსოფია და მისი პროგრესი“, რომელიც 1901 წ. ვრცელი სტატიის სახით იბეჭდება ჟურნალში „მოამბე“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ს. გორგაძე აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას ფილოსოფიის ისტორიაში. იგი სწავლობს, აღწერს და გამოსცემს ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლებს, აქვეყნებს სტატიებს და წერილებს ფილოსოფიური ტრაქტატების ისტორიის და თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. ფილოსოფიის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში ს. გორგაძის მიერ გამოთქმული რიგი მოსაზრება დღეს გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ მეცნიერებაში.<sup>5</sup>

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ს. გორგაძემ სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენასა და ახალი ტერმინოლოგიის შემუშავებაში. აკად. შ. ძიძიგურის თქმით, „ჩვენი ენის სიწმიდისათვის ბრძოლა ვერ დაივიწყებს ს. გორგაძის ცნობილ წიგნს — ქართული მართლწერა... რომელმაც უთუოდ დიდი სარგებლობა მოუტანა სალიტერატურო ქართულის ნორმებით დაინტერესებულ მკითხველს“.<sup>6</sup>

ალნიშვნის ღირსია ს. გორგაძის გამოკვლევები ქართული პოეტური სტილისა და ფორმის პრობლემებზე. მისი წიგნი „ქართული

---

<sup>4</sup>. შ. ძიძიგური, სერგი გორგაძე, „ლიტერატურული გაზეთი“ №26, 1959, გვ. 4

<sup>5</sup>. შ. ზიდაშელი, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988, გვ. 9

<sup>6</sup>. შ. ძიძიგური, სერგი გორგაძე, გვ. 4



ლექსი“ „წარმოადგენს პირველს ცდას ქართული ლექსთწყობისაშენი შედარებით მთლიანი და ამასთან ერთად საფუძვლიანი მიმოხილვისას“.<sup>7</sup>

XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ს. გორგაძე იწყებდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, საქართველოს ისტორიის მრავალრიცხოვანი წერილობით წყაროების დიდი ნაწილი უკვე გამოცემული და ისტორიკოსთა მიერ გამოყენებული იყო. „მაგრამ ამ წყაროებისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება არ იდგა იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე... საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა წყაროების პირუთენელი, მაგრამ სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო. ეს საქმე წარსული საუკუნის დამღვევს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა“.<sup>8</sup>

ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს საკითხი მწვავედ დააყენა ივ. ჯავახიშვილთან ერთად, ს. გორგაძე იყო.

თავის ორ ძირითად ისტორიულ ნაშრომში „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ (1905 წ.) და „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, ნაწ. I (1905 წ.), სერგი გორგაძე ხაზგასმით მოუთითებს ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომის აუცილებლობაზე. ამის გარეშე, ს. გორგაძის აზრით, შეუძლებელია „დაახლოებით მაინც“ ზუსტი ცოდნა გვქონდეს წარსულის მოვლენებზე. მისთვის მიუღებელია იმ ისტორიკოსთა ნააზრევი, რომლებიც კრიტიკის და ანალიზის გარეშე იმეორებენ წყაროების სიტყვებს. მაგრამ ს. გორგაძისათვის ქართული წყაროებისადმი „მეცნიერულ-კრიტიკული“ მიდგომა, მათი „კრიტიკული გაცხრილვა“, სრულებით არ ნიშნავს ისტორიისათვის მათი მნიშვნელობის დამცრობას. პირიქით, ის დიდ როლს ანიჭებს ქართულ ისტორიულ ძეგლებს. ს. გორგაძის მიხედვით, ისტორიკოსის მოვალეობაა არა სრულიად ხელის აღება ქართული წყაროების ცნობებზე, არამედ მხოლოდ მათი კრიტიკულად განხილვა და შეძლებისდაგვარად უცხოურ წყაროებთან და „საზოგადოდ მსოფლიოს ისტორიის ცნობებთან შეთანხმება“.<sup>9</sup>

7. ს. გორგაძე, ქართული ლექსი, კ. კეკელიძის წინასიტყვაობა, თბ., 1930, გვ. 1

8. ს. ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი, შრ. ტ. V თბ., 1987, გვ. 385

9. ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, ჟურნ. „მოამბე“ №3, 1905, გვ. 29

ამ პრინციპით, წყაროებისადმი ასეთი მიდგომით არის დაწერილი მისი ნაშრომები.

ს. გორგაძის, როგორც ისტორიკოსის, შესანიშნავ დახასიათებას იძლევა აკად. გ. ჩიტაია. იგი აღნიშნავს, რომ ს. გორგაძის ნაშრომები „დიდხანს დარჩება, როგორც სამეცნიერო კვლევის ნიმუში. კრიტიკულობა სიზუსტე და კეთილსინდისიერება მთავარი მახასიათებელი თვისება იყო განსვენებულის მოღვაწეობისა“.<sup>10</sup>

### თავი I – ქართლის გაქრისტიანება (გვ 30-57)

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში IV საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია. ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი სამართლიანად არის აღიარებული „დიდი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-იდეოლოგიური მოვლენებისა და ძვრების ხანად“.<sup>11</sup>

IV საუკუნის „ცენტრალურ მოვლენას“, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ს. გორგაძე, წარმოადგენდა ქართლში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად.

საქართველოს გაქრისტიანების პირობათა და გარემოებათა კვლევას არა ერთი და ორი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეხებია და დღეს ქართული ისტორიოგრაფია მდიდარია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ლიტერატურით.

მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღესაც სადავოდ რჩება ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები და ისტორიკოსთა მიერ კვლევის შედეგად გამოთქმული დებულებები უფრო ჰიპოთეტურია, ვიდრე მტკიცებითი. ამდენად, ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს ს. გორგაძის ნააზრევი ამ საკითხებთან დაკავშირებით. მან ერთ-ერთმა პირველმა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში საგანგებო მონოგრაფია უძღვნა ქართლის გაქრისტიანების პრობლემას და არა ერთი და ორი საინტერესო ვარაუდი გამოთქვა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებუ-

---

<sup>10</sup> გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ. გვ. 329

<sup>11</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII სს. თბ., 1979, გვ. 8

ლება. მეტიც, ს. გორგაძის ზოგიერთი მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მონოგრაფია „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ ს. გორგაძემ 1905 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „მოამბე“ (№№ 3, 4, 5). ავტორს ვრცლად აქვს განხილული ქართლის გაქრისტიანების და ქართული ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციული ჩამოყალიბების ყველა მხარე, ამისათვის მას გამოუყენებია იმ დროისათვის გამოცემული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა (როგორც ქართულ და რუსულენოვან, ასევე ფრანგულ-გერმანული) და ყველა ხელმისაწვდომი წყარო, როგორც ქართული, ასევე ბერძნულ-რომაულ-სომხური.

ს. გორგაძის მონოგრაფია ოთხი თავისაგან შედგება: I. ისტორიული გარემოებანი; II. წმ. ნინო და მირიან მეფე; III. ქართველთა მოქცევის ქრონოლოგია და IV. პირველი იერარქია.

როგორ ისტორიულ-პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში მოხდა ქართლის გაქრისტიანება? როგორი პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობა იყო მაშინ მეზობელ სომხეთში და რომის იმპერიაში? რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ამ დროს დასავლეთ თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში? ამ საკითხების გარკვევას ეძღვნება ს. გორგაძის მონოგრაფიის პირველი თავი.

ს. გორგაძე ვრცლად მიმოიხილავს რომის იმპერიის მდგომარეობას კონსტანტინე დიდის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (306 წ.). ავტორი ჩერდება ქრისტიანობის ისტორიისათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებზე, როგორიცაა, კონსტანტინეს მიერ მაქსენციუსის დამარცხება (312 წ.). მილანის ედიქტი (313 წ.), კონსტანტინეს მიერ ლიცინიუსის დამარცხება (323 წ.). ს. გორგაძე აღნიშნავს, რომ კონსტანტინე დიდის მიერ ლიცინიუსის დამარცხება ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია კაცობრიობის ისტორიაში. „ეს ბრძოლა – წერს ს. გორგაძე – ჭეშმარიტად ორი სარწმუნოებისა და ორ სხვადასხვა საზოგადოების ბრძოლა იყო – წარსულისა და მომავლის. გაიმარჯვა კონსტანტინემ და მასთან ერთად ჯვარმაც გაიმარჯვა: ქრისტიანობა სახელმწიფოებრივი სარწმუნოება შეიქმნა.“<sup>12</sup>

---

<sup>12</sup> ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მოამბე“ №3, გვ. 2.





შესაძლოა ავტორი რამდენამდე გაზვიადებულ შეფასებას აძლევს როგორც თვით ომის მნიშვნელობას, ასევე კონსტანტინეს დამსახურებას, მაგრამ ერთი რამ უდავოა – იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობამ, მართლაც, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა ნიშნით ჩაიარა და მისი იმპერატორობის დროსვე ქრისტიანობა ფაქტიურად სახელმწიფო რელიგიად ცხადდება.

ს. გორგაძე მოკლედ ეხება მეზობელი სომხების სარწმუნოებრივ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის პირველ სამ საუკუნეში ქრისტეს მოძღვრებამ აქ საკმაოდ ბევრი მიმდევარი გაიჩინა, და რომ 318 წელს ეს რელიგია ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრივ სტატუსში იქნა აყვანილი. ს. გორგაძის სამართლიანი შენიშვნით, „საანბანო ჭეშმარიტებაა“ ის, რომ იმპერატორი კონსტანტინე და სომხეთის მეფე თრდატ III თავიანთ სამფლობელოში პირველი შემტანნი კი არ იყვნენ ახალი მოძღვრებისა, არამედ „გამომხატველნი, ხელისშემწყობნი და დამაკანონებელნი იყვნენ იმ ისტორიული ფაქტისა, რომელსაც ქრისტიანობის გამარჯვება და წარმართობის დამარცხება ეწოდება“.<sup>13</sup>

ს. გორგაძე თვლის, რომ ქრისტიანული სარწმუნოების შეთვისებისა და გავრცელების მხრივ, „ქართველი ტომის ხალხთა შორისაც“ იგივე, ან თითქმის იგივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, და აღნიშნავს, რომ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას „მართო შორიდან მცნობელნი კი არა მიმდევარნიც საკმაოდ უნდა ჰყოლებოდა“.<sup>14</sup> სხვა მხრივ, ს. გორგაძისათვის გაუგებარია წყაროთა დუმილი სამხრეთ ან დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.

უეჭველად სამართლიანია ს. გორგაძის შენიშვნა, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას და შეთვისებას ხელს უწყობდა იმპერიაში არსებული ქრისტიანულ ცენტრებთან ტერიტორიული სიახლოვე და აქტიური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა. თავის მხრივ, ამ გარემოებამ, ს. გორგაძის აზრით, ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოში.

---

<sup>13</sup> ს. გორგაძე, იქვე  
<sup>14</sup> ს. გორგაძე, იქვე, გვ. 3



ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. სავსებით მართალია ს. გორგაძე მაშინაც, როდესაც ქართლის გაქრისტიანების ერთ-ერთ მთავარ პირობად და მიზეზად იმ პოლიტიკურ ურთიერთობას ასახელებს, რომელიც ამ დროისათვის არსებობდა რომსა და ქართლს შორის.

ვფიქრობ, გასაზიარებელია ს. გორგაძის ის მოსაზრებაც, რომ ქრისტიანობის მიღება არა მარტო ქართლის პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელია, არამედ რომზე დამოკიდებულების (თუნდაც ნომინალური) გამოვლინებაც.

ქართლის გაქრისტიანებას, გარდა პილოტიკური და იდეოლოგიური ხასიათის პირობებისა, რასაკვირველია, საფუძვლად ედო დიდი ძვრები სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში. ს. გორგაძემ, ერთ-ერთმა პირველმა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, ხაზი გაუსვა ქრისტიანობის გავრცელება-გაბატონების სოციალურ მიზეზებს.

ს. გორგაძე საკმაოდ ვრცლად ეხება ქართლის განმანათლებლის ვინაობა-სადაურობის საკითხს. ეკამათება იმ ავტორებს, რომლებიც წმინდანის სახელს — ნინოს საკუთარ სახელად არ თვლიდნენ და ფიქრობდნენ, რომ ნინო მონაზონს ნიშნავს. მეცნიერი ასევე უარყოფს იმ ვარაუდს, რომ ქართველთა განმანათლებელი ეთიოპურ-არაბულ სვინაქსარებში მოხსენებული თეოგნოსტაა და აღნიშნავს, რომ ქართველთა განმანათლებლის სახელი არ დაკარგულა და არც შეიძლებოდა რომ დაკარგულიყო.

ეხება რა წმ. ნინოს ეროვნულ კუთვნილებას, ს. გორგაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართველთა განმანათლებლის ჩამომავლობის და გვარტომობის გასრკვევად ჯერჯერობით საკმარის საბუთები არ მოგვეპოვება<sup>15</sup>,<sup>16</sup> და ამიტომ მისთვის მიუღებელია კატეგორიული დასკვნები წმინდანის ეროვნულ წარმოშობაზე. მეცნიერის სამართლიანი აზრით, წმ. ნინოს სომხობა, გინდ ბერძნობა, ისეთივე უსაფუძვლო ჰიპოთეზაა, როგორც მისი ქართველობა.<sup>17</sup>

<sup>15</sup>. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თქ. ტ. I, თბ., 1979, გვ. 27. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 229-230

<sup>16</sup>. ს. გორგაძე, იქვე, გვ. 15

<sup>17</sup>. იქვე.



ს. გორგაძეს ეჭვი არ ეპარება, რომ ქართლის პირველი ქრისტიანობის მფუვე მირიანია. მაგრამ რუსი საეკლესიო ისტორიკოსის ვ. ბოლოტოვის მოსაზრება, რომელიც შემდეგ ივ. ჯავახიშვილმაც გაიზიარა, რომ პირველი ქრისტიანი მფუვე იბერიისა იყო ბაკური, იბულებულს ხდის ისტორიკოსს, შეჩერდეს ამ საკითხზე. ს. გორგაძე საკმაოდ არგუმენტირებულად ეკამათება აღნიშნულ ავტორებს და მიუთითებს, რომ არ არსებობს არავითარი სანდო ცნობა (პეტრე იბერიის ასურული „ცხოვრების“ ჩათვლით), რომლის ძალით „შესაძლო იყოს ქართული წყაროების და ზეპირგადმოცემების ის საერთო რწმენა უარ-ვეყოთ, რომ პირველი ქრისტიანი მფუვე საქართველოსი იყო მირიანი“<sup>18</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ეს აზრი საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. თავის დროზე კი ს. გორგაძე იყო პირველი ისტორიკოსი, ვინც კრიტიკულად განიხილა და უარყო ბოლოტოვ-ჯავახიშვილის აღნიშნული მოსაზრება.

## თავი II – ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის საკითხი (გვ. 58-78)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საკამათოა ქართლის ოფიციალური გაქრისტიანების თარიღი და „რამდენადაც საკითხი რთული და აქტუალურია, იმდენად ბუნდოვანი და გადაუწყვეტელია“<sup>19</sup>.

ს. გორგაძემ თავის მონოგრაფიაში ამ პრობლემას ცალკე თავი მიუძღვნა.

სავსებით სამართლიანად ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივი დამკვიდრების დასაწყისად ს. გორგაძემ მიიჩნია მეფისა და მოსახლეობის ნაწილის მოქცევა ახალ რჯულზე, ხოლო ამ ფაქტის დაგვირგვინებად – სამღვდელოების მოსვლა. „უეჭველია – წერს ისტორიკოსი – ამ ფაქტის დასაწყისად ის დრო უნდა ჩაითვალოს, როცა იბერთა მეფემ, რუფინის მოწმობით, თვით მიიღო ქრისტიანობა, შეჰკრიბა ერი და წინადადება მისცა ქრისტეს

<sup>18</sup>. იქვე, გვ. 36-37

<sup>19</sup>. არ. ბარამიძე, იბერიაში ქრისტიანობის შემოსვლის საკითხისათვის, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, III, თბ., 1975, გვ. 104

სარწმუნოება მიეღო. რაც შეეხება სამღვდელეობის მოსვლას ერთურთ მეფის მონათვლას, — ეს მხოლოდ დამთავრება და დაგვირგვინება იყო ამ ფაქტისა და არა მისი დასაწყისი“.<sup>20</sup>

ეკლესია მხოლოდ მაშინ იწყებს არსებობას, როცა იწყება კულტმსახურება და ახლად მოქცეულ მრევლს ეძლევა საშუალება დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. ქრისტიანობაში ეს შეუძლებელია სასულიერო პირის გარეშე (თუ არ ჩავთვლით ლოცვას), ამიტომ ქართველთათვის სასულიერო პირთა ხელდასხმა და მათი აქ გამოგზავნა, მართლაც, ქართლის მოქცევის, მეორე, დამაგვირგვინებელ ეტაპად უნდა ჩაითვალოს.

ს. გორგაძის აზრით, „ვერც ერთ ამ ორი მომენტის ქრონოლოგიაში ვერ შეთანხმებულან ჩვენი მკვლევარნი და ისტორიკოსნი“<sup>21</sup> და გუთავაზობს თავის კვლევის შედეგებს, რომელთა არგატვალისწინება ამ საკითხის შესწავლა-განხილვისას, არ შეიძლება. მითუშეტეს, რომ ეს შედეგები რიგ შემთხვევაში ეთანხმება ბოლო დროის ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში გამოთქმულ ქართლის გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

ს. გორგაძე კრიტიკულად განიხილავს წინამორბედ და მის თანამედროვე ისტორიკოსთა მიერ მოცემულ თარიღებს და მსჯელობს მათ არგუმენტაციაზე. მისთვის მიუღებელია იმ მეცნიერთა ნააზრევი, რომლებიც თავის დასკვნებს „უმთავრესად „ქართლის მოქცევის“ ქრონიკასა და წმ. ნინოს „ცხოვრების“ რიცხვებზე ამყარებენ“<sup>22</sup> და უფრო საფუძვლიანად იმ მოსაზრებებს მიიჩნევს, რომლებიც „უმთავრეს მოქმედებათა და ღირსშესანიშნავ გარემოებათა კრიტიკულს შესწავლაზეა დამყარებული“.<sup>23</sup>

ს. გორგაძე კრიტიკულად უდგება ქართული წყაროების ცნობებს, არ უარყოფს მათ ღიდ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს ეძებს მათში ასახული მოვლენების დადასტურებას „საზოგადო ისტორიაში“ და არ ღებულობს, თუ ეს ცნობები ეწინააღმდეგება მსოფლიო ისტორიაში მომხდარ და დათარიღებულ ფაქტებს.

---

<sup>20</sup> ს. გორგაძე, დასახ. ნაშრ. „მოამბე“ №4, გვ. 1

<sup>21</sup> ს. გორგაძე, იქვე

<sup>22</sup> იქვე, გვ. 6

<sup>23</sup> იქვე



ს. გორგაძისათვის სწორედ ასეთ მიუღებელ ცნობებს მოაღვენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური მასალა.

აღნიშნული ძეგლებიდან ისტორიკოსს მოჰყავს ის ადგილები, სადაც ლაპარაკია მსოფლიო ისტორიაში ცნობილ და დათარიღებულ მოვლენებზე (კონსტანტინეს მიერ მაქსენციუსის დამარცხება, მილანის ედიქტი, I მსოფლიო საეკლესიო კრება და სხვ.), მაგრამ ამ წყაროებით მათი ქრონოლოგია აშკარად მცდარია. მაგ: „მოქცევაჲს“ და წმ. ნინოს „ცხოვრების“ მიხედვით, კონსტანტინეს მიერ მაქსენციუსის დამარცხება (312 წ) და მილანის ედიქტი (313 წ) დათარიღებულია 343-344 წლებით, რადგან „ლუაწლი ბრძოლისაჲ“... და „ნათელ-ილო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ“ (რაც აღნიშნულ მოვლენებს გულისხმობს) ამ წყაროების მიხედვით, მოხდა „ქრისტეს აღმალლებითგან სამას და მეთათსე წელსა“ (ქრონიკა)<sup>24</sup> და „ქრისტეს აღმალლებითგან სამას და ათერთმეტსა“ (წმ. ნინოს „ცხოვრება“).<sup>25</sup>

წმ. ნინოს „ცხოვრების“ მიხედვით, ამ მოვლენიდან 7 წლის შემდეგ „იყო წმინდაჲ კრებაი ნიკეას, და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით“,<sup>26</sup> ე. ი. 33+311+7=351.

ს. გორგაძე სავესებით სამართლიანად ეთანხმება ე. თაყაიშვილსა და კ. ცინცაძეს, რომლებიც თვლიდნენ, რომ იქ, სადაც ქართული წყარო მიუთითებს თარიღს „ქრისტეს აღმალლებითგან“, უნდა ვიგულისხმოთ „ქრისტეს შობიდან“. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ დავეყრდნობით ქართული წყაროების თარიღებს. ვთქვათ, „ყოველ საბერძნეთი წარემართა ქრისტიანობასა“ ქრისტეს შობიდან „სამას და ათერთმეტსა წელსა“ ე. ი. 311 წელს (რაც სინამდვილესთან უფრო ახლოა), მაშინ გამოდის, რომ I მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა 318 წელს, ვინაიდან „ცხოვრებით“ „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაი ნიკეას“ ე. ი. 311+7=318 წ.

ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ორივე თხზულებაში იმპერატორ კონსტანტინესთან დაკავშირებული სიტყვები, როგორც


227.829  
3  
კ

<sup>24</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, შატბერდის კრებული, თბ., 1979,

გვ.322

<sup>25</sup> იქვე, გვ. 322

<sup>26</sup> იქვე





ალინიშნა, უნდა ასახავდეს რეალურ, ისტორიულ მოვლენებს კონსტანტინეს მიერ მაქსენციუსის დამარცხებას და მილანის ედიქტს.

იმპერატორმა კონსტანტინემ მაქსენციუსი 312 წლის შემოდგომაზე დაამარცხა, ლიცინიუსთან ერთად მილანის ედიქტი 313 წელს გამოსცა, ხოლო, ნიკეის კრება 325 წელს გაიმართა. ამ ისტორიულ ფაქტებს ვერსად ვერ გავექცევით, მსოფილო ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დათარიღებას ვერ შევცვლით, ამიტომ შეიძლება გავიზიაროთ ს. გორგაძის ეჭვი ქართულ წყაროებში არსებული ქრონოლოგიური ცნობების მიმართ.

მიუხედავად იმ უნდობლობისა, რომელსაც ს. გორგაძე „მოქცევაჲს“ თარიღებს უცხადებს, იგი მაინც თვლის, და ვფიქრობ სამართლიანად, რომ ამ წყაროს გარეშე შეუძლებელია ქართველთა მოქცევის ქრონოლოგიის დადგენა და რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი აზრით, აუცილებელია „ამ წყაროში მკვლევარი მხოლოდ იმ საისტორიო ცნობებს დაემყაროს, რომელსაც აღნიშნული ქრონიკა უძთავრეს მოქმედებათა და ისტორიულ გარემოებათა შესახებ იძლევა, და სრულიად გვერდი აუხვიოს იმ ქრონოლოგიურ ცნობათა თარიღებას და წელთა რაოდენობას, რომელნიც, თავისი დანიშნულების მიხედვით, ისტორიულ ცნობების გარკვევას და შეგნებას უნდა აადვილებდნენ, ნამდვილად კი უფრო მეტად აბნელებენ მათ და გაუგებრად ხდიან“.<sup>27</sup> (ერთ-ერთ ასეთ თარიღად ს. გორგაძეს მიაჩნია ის „ათოთხმეტი“ წელი, რომელსაც უნდა გაველო კონსტანტინეს „ბრძოლის ღვაწლისა“ და რიფსიმიანთა ლტოლვას შორის, (ე. ი. „მოქცეაით“ 310+14=324 წ., სინამდვილეში 312+14=326 წ.).<sup>28</sup>

ს. გორგაძე მისაღებად თვლის ქართული წყაროს ცნობას, რომ წმ. დედოფალმა ელენემ წმ. ნინოს გამოუგზავნა მის მიერ იერუსალიმში აღმოჩენილი „ძელი – ჭეშმარიტის“ ნაწილები. მკვლევარი წმ. ელენეს გარდაცვალებას 326-328 წლებს შორის სდებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქართლის გაქრისტიანება დაახლოებით იმავე ხანებში უნდა მომხდარიყო, როდესაც წმ. ელენემ ჯვარი პატიოსანი აღმოაჩინა, მაგრამ ს. გორგაძე უზუსტობას უშვებს: „თუ გვსურს უკიდურეს შეცდომაში არ ჩავვარდეთ

<sup>27</sup> იქვე, გვ. 13-14

<sup>28</sup> იქვე, გვ. 14



საქართველოში სამღვდელოების მოსვლის წლად ის 326 წელი აღვიაროთ, რომლის ადრეც ელენე დედოფლის სიკვდილს არცერთი წყარო არ იხსენიებს. ამავე წელს – წერს ს. გორგაძე – უნდა ეკუთვნოდეს, მისის სახელობისა და მცხეთელი ქართველების ნათლისღებაც.<sup>29</sup> ვერ დავეთანხმები ს. გორგაძეს იმაში, რომ 326 წელი უნდა მივიჩნიოთ სამღვდელოების მოსვლის თარიღად იმის გამო, რომ ამ წლის ადრე არც ერთი ვტორი არ ღებს წმ. ელენეს გარდაცვალების თარიღად. პირიქით, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ძველი მწერალი თუ თანამედროვე ისტორიკოსი ასახელებს ამ დედოფლის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს, ჩვენ ყველაზე ბოლო თარიღი – 328 წელი უნდა ავიღოთ და ის მივიჩნიოთ სამღვდელოების მოსვლის უკიდურეს ზღვრად. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ 326 წელს აღმოჩენილი „ძელი ცხოვრების“ ნაწილთა გამოგზავნა ელენეს და კონსტანტინეს არ შეეძლოთ უფრო ადრე, თუნდაც იმავე წელს.

ს. გორგაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არცერთ მწერალთან, რომელიც ქართლის გაქრისტიანებაზე მოგვითხრობს, არ არის ნახსენები ქ. კონსტანტინოპოლი. ეს ს. გორგაძის აზრით იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ქართლში სამღვდელოების გამოგზავნის მომენტისათვის იმპერიის დედაქალაქი ჯერ კიდევ რომში იყო, თუმცა თვით კონსტანტინე რომში აღარ იჯდა და მისი რეზიდენცია აღმოსავლეთში იყო გადმოტანილი.

აქედან გამომდინარე, ს. გორგაძე თვლის, რომ უახლოვდება იმ დორს, როდესაც ქართველებს „მოქცევაჲს“ „ისტორიული ცნობების“ (და არა თარიღების) თანახმად, უნდა მიეღო იმპერატორ კონსტანტინესაგან გამოგზავნილი სამღვდელოება. ეყრდნობა რა ისტორიულ ცნობებს, რომ კონსტანტინოპოლს საფუძველი 326 წლის ნოემბერში ჩაეყარა, მშენებლობა 328 წელს დაიწყო, ხოლო დედაქალაქად გამოცხადდა 330 წელს. ს. გორგაძე აღნიშნავს: „ცხადია, მამასადამე, რომ საბერძნეთიდან საქართველოში სამღვდელოების მოსვლა 326 წლის 20 ნოემბერზე გვიან ვეღარ მოხდებოდა.“<sup>30</sup> კონსტანტინოპოლს საძირკველი მართლაც, 326 წლის

<sup>29</sup>. იქვე, გვ. 20

<sup>30</sup>. იქვე, გვ. 19

20 ნოემბერს ჩაყარა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, საქართველოში სამღვდელელოების მოსვლა ამ თარიღზე გვიან ვერ მოხდებოდა, როგორც ამას ს. გორგაძე ფიქრობს. ამ შემთხვევაში იგი აშკარა შეცდომას უშვებს. 326 წლის 20 ნოემბერს ქალაქს საძირკველი კი ჩაყარა, მაგრამ იმპერატორის რეზიდენციად ის მხოლოდ 330 წელს იქცა. ამიტომ, ვფიქრობ, 326 წლის აქტი სრულებით არ მეტყველებს სამღვდელელოების მაინცდა მაინც იმავე წელს მოსვლაზე და იგი მტკიცებად ვერ გამოდგება და უფრო არგუმენტირებულ თარიღად ის 330 წელი უნდა მივიჩნიოთ, როცა კონსტანტინოპოლი ოფიციალურად გამოცხადდა დედაქალაქად. მაგრამ თავისთავად კონსტანტინოპოლის მოუსხენებლობა წყაროებში, საკმაოდ სერიოზული საბუთია იმისათვის, რომ ქართლის გაქრისტიანება ამ ქალაქის დაარსებაზე უფრო ადრეულ მოვლენად ვაღიაროთ.

საქართველოში სამღვდელელოების მოსვლის თარიღის გარკვევის შემდეგ ს. გორგაძე გეთავაზობს მეფე მირიანის და ერის მოქცევის თარიღს. იგი ეყრდნობა „მოქცევაჲს“ და ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს იმის თაობაზე, რომ მეფემ კონსტანტინესთან მოციქულები ეკლესიის აშენების შემდეგ გაგზავნა, ხოლო ეკლესიის აშენებას წინ უსწრებდა ერის მოქცევა და ამ ორ მოვლენას ორნახევარ წელიწადს უთმობს. დროის ამ მონაკვეთს აკლებს სამღვდელელოების მოსვლის თარიღს – 326 წელს და მირიანის მოქცევას 323 წლის მეორე ნახევრით ათარიღებს. „უკეთუ ამ ორს ფრიად მნიშვნელოვანს საქმეს (ერის ჩაგონებას და ეკლესიის აშენებას) ორწელიწად ნახევარს მაინც დავუთმობთ – წერს ს. გორგაძე – მაშინ აღმოჩნდება, რომ მირიანის მოქცევა 323 წლის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო; მაშასადამე, მეფე-დედოფლისა და ნინოს ჩაგონებით ერის მხრივ თანხმობის გამოცხადება არა უადრეს 324 წლის პირველი ნახევრისა, ხოლო ეკლესიის აშენება არაუადრეს 325 წლის დამლევისა და 326 წლის დამლევისა, რადგან თუ რუფინის დაუუჯერებთ, ეკლესია უბრალოდ არ უნდა ყოფილიყო: იგი. შენდებოდა „ტყვის“ მიერ ნაჩვენები გეგმის თანახმად და „დიდებულათაო“.<sup>31</sup>

მოცემული თარიღების „განმტკიცების“ მიზნით ს. გორგაძე ასტრონომიულ-კალენდრულ მონაცემებსაც იშველიებს. როგორც



თავის დროზე კ. ცინცაძე (კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე) და ბევრად უფრო გვიან კ. კეკელიძე, სერგი გორგაძე ყურადღებას აქცევს ქართულ წყაროებში არსებულ ცნობას, რომ მირიანის ნადირობის დღე, შაბათი, 20 ივლისი იყო და მიუთითებს, რომ „ოც ივლისს შაბათი 316-330 წლებ შუა მხოლოდ 323 წელს მოხვდებოდა“, <sup>32</sup> აგრეთვე ქართული წყაროების ცნობებს, რომ საჯვარე ხის მოკვეთა მოხდა 25 მარტს, პარასკევს და შენიშნავს, რომ „აღნიშნული წყაროების მოწმობით, საჯვარე ხის მოჭრა და ჯვრის აღმართვა... მირიან მეფისა და მცხეთელთა მონათვლის შემდეგ მოხდა. ე. ი. ჩვენის ანგარიშით იმავე 326 წელს და ქრონოლოგიური ტაბულებიც ემოწმება, რომ 25 მარტი 323 და 330 წლებ შუა, პარასკევს მხოლოდ 326 წელს მოდიოდა“. <sup>33</sup>

თავად ს. გორგაძე თვლის, რომ ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს და არაფერს ამტკიცებენ, მაგრამ დასძენს: „თუ აქ ამაზე მაინც შეეჩერდით, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთი ჩვენი მკვლევარის ნაწერებში (მხედველობაში ჰყავს კ. ცინცაძე) შეგვხვდა ისეთი ადგილი, სადაც იმავე სინქრონოლოგიური ცნობის ძალით (20 ივლისი, შაბათი) მირიანის მოქცევა 333 წელს არის დადებული, ხოლო ქართველთა მოქცევა კი 335 წელს. ჩვენ გვსურდა გვეჩვენებია – წერს ს. გორგაძე, – რომ აღნიშნული ცნობები ჩვენს თარიღებსაც ისეთსავე (თუ არა უფრო მეტის) სისწორით ეთანხმება“... <sup>34</sup>

საბოლოო ჯამში ს. გორგაძის პასუხი კითხვაზე, თუ როდის მიიღეს ქართლში ქრისტიანობა „ნებადართულ და სავალდებულო“ რელიგიად, ასეთია: „ეს მოხდა მაშინ, როცა ქართველთა მეფემ, მირიანმა ქრისტე ჭეშმარიტად ღმერთად აღიარა, შემდეგ, რუფინის მოწმობით, შეჰყარა ერი და წინადადება მისცა, ქრისტეს რჯული მიეღო, ე. ი. ჩვენის ანგარიშით 323 წლის მეორე ნახევარში. მაგრამ, რადგან მართლმადიდებლობითი სწავლის მიხედვით, ეკლესია მხოლოდ მაშინ იწყებს კანონიერ არსებობას, როცა მას იერარქია უჩნდება, ამიტომ აღმოსავლეთის საქართველოს ეკლესიის დასაწყისად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ არა 323 წელი, არამედ 326 წელი, როდესაც

---

<sup>32</sup> იქვე

<sup>33</sup> იქვე, გვ. 21-22

<sup>34</sup> იქვე, გვ. 22

ქართლში საბერძნეთიდან პირველი სამღვდლოება მოვიდა და ხალხის მონათვლას შეუდგა“.<sup>35</sup>

დღეს საყოველთაოდ არის გაზიარებული ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართლი გაქრისტიანდა დაახლოებით 337 წლისათვის. მაგრამ, ბოლო დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში, მოცემულია ქართლის გაქრისტიანების თარიღის უფრო ქვევით ჩამოწევის ცდა. ისტორიკოსთა ნაწილი (ნ. ლომოური, ვ. გოილაძე, ეპისკოპოსი ანანია) არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ აღნიშნულ მოვლენას ადგილი ჰქონდა 325-330 წლებს შორის (ნ. ლომოური), ან 317-318 – 324-326 წწ. (ვ. გოილაძე, ეპ. ანანია). ამ ავტორთა ვარაუდი ნაწილობრივ ემთხვევა ს. გორგაძის აზრს და ვფიქრობ, ამ უკანასკნელის ნააზრევის ძირითადი ტენდენციის გაზიარება შეიძლება, მაგრამ მაინც მოითხოვს მცირე კორექტირებას. კერძოდ, ჩემი აზრით, ს. გორგაძე დროის ზედმეტად დიდ მონაკვეთს უთმობს „ერის ჩაგონებას და ეკლესიის მშენებლობას“. მართალია, რუფინუსის მიხედვით მირიანსა და ხალხის მოქცევის შემდეგ ეკლესია „დიდებულად“ იქნა აგებული, მაგრამ, ვფიქრობ, არც ერის „ჩაგონებას“ და არც ეკლესიის „დიდებულად“ აშენებას 2,5 წელი არ დასჭირდებოდა.

324 წელს, ლიციანიუსის დამარცხების შემდეგ, იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოცემული ედიქტი, რომელიც ქრისტიანობას ფაქტიურად ოფიციალურ რელიგიად აქცევდა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა სხვადასხვა ქვეყნებს თუ ხალხებს გაქრისტიანებისათვის. ეს წელი შეიძლება მივიჩნიოთ მირიანის მოქცევის თარიღად, მაგრამ არა ქართლის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსის ხელდასმის წლად, როგორც მაგ. ვ. გოილაძე ფიქრობს, ვინაიდან ამ აქტისათვის, სწორედ რომ 324 წლის ბოლო თვეები შეიძლება ჩავთვალოთ ყველაზე არახელსაყრელ მომენტად, იმ დიდი არეულობის გამო, რომელიც ამ დროს ქრისტიანულ ეკლესიაში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ეკლესიის იერარქიაში სუფევდა არიოზის მწვალებლობის გამო.

ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე არიანელთა დამარცხება, ქრისტიანობაში დროებით სიმშვიდის დამყარება, ჭეშმარიტი

<sup>35</sup> იქვე, გვ. 24-25.

ქრისტიანობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველის — ევსტატიოს ანტიოქიის კათედრაზე გადაყვანა კი ნამდვილად ქმნიდა პირობებს ქართლის ეკლესიის ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და ამ ქვეყანაში სამღვდულოების გამოგზავნისათვის. ეს უკანასკნელი კი, შესაძლოა, 325-326 წლებში მოხდა.

ამდენად, ს. გორგაძის მიერ გამოთქმული აზრი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და მისი გათვალისწინება აღნიშნული პრობლემის კვლევისას მიზანშეწონილად მიმაჩნია.

### თავი III — ქართლის ეკლესიის იმარაქიული მღვობარეობა IV-V სს. (გვ. 79-104)

როგორც უკვე აღინიშნა, ეკლესია მაშინ იწყებს არსებობას, როცა შექმნილია პირობები კულტმსახურებისათვის, არიან სასულიერო პირები, არის საეკლესიო ორგანიზაცია.

ვის მიერ იყო ნაკურთხი ის პირველი მღვდელმთავარი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახლად წარმოქმნილ ქართულ ეკლესიას? ვინ ჩამოაყალიბა საეკლესიო სტრუქტურა საქართველოში და ვის დაექვემდებარა იერარქიულად ეს სტრუქტურა? ამ საკითხების გარკვევას ეხება სერგი გორგაძე მონოგრაფიის ბოლო თავში „პირველი იერარქია“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა ქართლის ეკლესიის თავდაპირველი იერარქიული დამოკიდებულების შესახებ.

ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ქართლის ეკლესია დაარსებიდანვე კონსტანტინოპოლელი მღვდელმთავრის სამწყსოში შევიდა. ნაწილი ფიქრობს, რომ მცხეთის კათედრა იერარქიულად ექვემდებარებოდა პონტოს დამოუკიდებელ მიტროპოლიტს, ხოლო ამ უკანასკნელის კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ, შეუერთდა ანტიოქიის კათედრას. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართლის ეკლესია იერუსალიმის ან სომხეთის ეკლესიებთან იყო იერარქიულ კავშირში. არსებობს მოსაზრება ქართლის ეკლესიის თავიდანვე დამოუკიდებლად არსებობის თაობაზე.

ისტორიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ავტოკეფალიის მიღებამდე, ე. ი. V ს. 60-70-იან წლებამდე ქარლის ეკლესია შედიოდა ანტიოქიელი პატრიარქების იურისდიქციაში. ამ თვალსაზრისს ავითარებს ს. გორგაძეც.

ს. გორგაძე საკმაოდ არგუმენტირებულად აჩვენებს, რომ თავისი არსებობის პირველივე წლებიდან ქართლის ეკლესია ვერ შევიდოდა კონსტანტინოპოლის სამწყსოში, ჯერ – ერთი, იმიტომ, რომ ამ დროს კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ არსებობდა (320-იან წლებში), მეორეც, კონსტანტინოპოლი დედაქალაქად გადაქცევის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი დიოცეზის გარეშე რჩებოდა და თავად ექვემდებარებოდა ჰერაკლიის მიტროპოლიტს, ისე, რომ ქართლის ეკლესიას იგი ვერ დაექვემდებარებდა. იგივე ითქმის იერუსალიმის საპატრიარქოზეც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პალესტინის კესარიის მიტროპოლიტის სამწყსოში შედიოდა.

ალოგიკურია ს. გორგაძისთვის აზრი, თითქოს ქართლის ეკლესია ჯერ პონტოს მღვდელმთავარს ემორჩილებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის კონსტანტინოპოლის სამწყსოში გადასვლის შემდეგ, ქართლის ეკლესია ანტიოქიას გადაულოცეს.

ს. გორგაძე დაწვრილებით განიხილავს ამ თვალსაზრისს, კერძოდ, კ. ცინცაძის მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

კ. ცინცაძეს, იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ ქართლის ეკლესია თავდაპირველად პონტოს ეკლესიას ექვემდებარებოდა, მოჰყავს II მსოფლიო საეკლესიო კრების აქტების ის ნაწილი, რომელშიც მოხსენიებულია „იბერიის ეპისკოპოსი პანტოფილე“, ჰელენოპონტოს ოლქიდან. კ. ცინცაძეს (და დღეს გიორგი მამულიას) ეს პანტოფილე იბერიის (ქართლის) ეპისკოპოსად მიაჩნია და აქედან გამომდინარე, პონტოსადმი ქართლის ეკლესიის დაქვემდებარებაში ეჭვი არ ეპარება.

ს. გორგაძისათვის ეს საბუთი „ფრიალ საეჭვო ღირსების ცნობას“ წარმოადგენს და აღნიშნავს, რომ „კრების აქტებში დასახლებული „სამსახელიანი“ მღვდელმთავარი „პანტოფილ-პანსოფი-პანსიფილი“ იყო ეპისკოპოსი არა ივერისა-ქართლისა, არამედ მცირე აზიაში მდებარე იმ პატარა ქალაქის იბორასი (IBORA), რომელიც იმავე მსოფლიო კრებათა აქტებში ხან იბორად იწოდება, ხან იბერად, ხან იბერად, ზოგან კი იმერად, იმერად და სხვ.“<sup>36</sup>

უფრო ვრცლად ამ საკითხზე ს. გორგაძე მსჯელობს კ. ცინცაძის წიგნზე „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ დაწერილ რეცენზიაში, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს საგზარდოს მოამბეში“.

<sup>36</sup> ს. გორგაძე, დასახ. ნაშრ. „მოამბე“ №5, გვ. 22-23.



ს. გორგაძე გვთავაზობს მცირე, მაგრამ ზუსტ გეოგრაფიულ ექსკურს, რათა მკითხველი კარგად გაერკვეს, თუ რა ტერიტორია ეკავა მთლიანად პონტოს პროვინციას, რომელიც კონსტანტინე დიდმა ორ ნაწილად – ჰელენოპონტოდ და პოლემონის პონტოდ დაყო. სწორედ ჰელენოპონტში, მდინარე ჰალისის სათავეებთან ახლოს იყო ქალაქი იბორა, რომლის ეპისკოპოსები ხშირად მოიხსენიებიან მსოფლიო საეკლესიო კრებათა აქტებში. ს. გორგაძეს მოჰყავს ის ადგილები IV მსოფლიო კრების აქტებიდან, სადაც ასევე დასახელებულია იბერიის ეპისკოპოსი ურანიუსი და ის ადგილებიც, სადაც იგი მოიხსენიება იბორიელად, იბორიტანულად, იმერიელად ან ივორიელად.

ჰელენოპონტოს (ამასიის პონტოს) შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ქალაქები: ამასია, ამისა, სინოპი, ივორა, ანდრაპა და სხვ.<sup>37</sup> თითქმის ყველა მათგანი საეპისკოპოსო ცენტრი იყო და ამ ქალაქების მღვდელმთავრები დასახელებულნი არიან კიდევ IX მსოფლიო საეკლესიო კრების XV დადგენილების ხელმოძღვრთა შორის. მათ შორის არის იბერიელ-იბორიელ-იმერიელი ურანიუსი.

ეჭვსგარეშეა, რომ საქმე გვაქვს იგივე ეპარქიასთან, რომელსაც II მსოფლიო საეკლესიო კრების დროს განაგებდა სამსახელიანი პანტოფილ-პანსოფი-პასიფილი და, რომ მას არაფერი აქვს საერთო ქართლის (იბერიის) ეპარქიასთან.

XI საუკუნის ავტორების ევრემ მცირის და ნიკონ შავთელის ცნობებზე დაყრდნობით, ავტორთა ნაწილს მიაჩნდა (და ახლაც მიაჩნია), რომ ქართლის ეკლესიის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ჩამოყალიბების და მისთვის პირველი ეპისკოპოსის კურთხევის მიზნით ქართლს ეწვია ანტიოქიელი პატრიარქი ევსტათი.

ს. გორგაძე განიხილავს ამ ცნობებს და ეჭვს გამოთქვამს ევსტათის ქართლში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

ს. გორგაძისათვის ადვილი წარმოსადგენია რუფინუსის და სხვა ბიზანტიელ ავტორთა დუმილი ქართველთა განმანათლებლის ან ქართლის მეფის სახელებზე მათი გულმაჯიწყობით რომ აიხსნას, მაგრამ იგივე გარემოებით ვერ აიხსნება ევსტათის სახელის

---

<sup>37</sup> С. Горгадзе, Священник К. Цинцадзе - Автокефалия церкви Грузинской, Библиография, Духовный Вестник Грузинского экзархата, NN1-2, 1906, 33. 41

მოუხსენებლობა. „შესაძლოა — წერს ს. გორგაძე — როცა თავი „საეკლესიო ისტორიის“ აღწერას შეუდგა, მას (რუფინუსს — ზ. ა.) გადაჭრით აღარ ხსომებოდეს ქართველი მეფის და ქართველთა განმანათლებელი ტყვე-ქალის სახელი... მაგრამ ძნელია ანტიოქიის მამათ-მთავრის შესახებაც იგივე ითქვას: რუფინს მისი სახელი არ დაავიწყდებოდა; ხოლო არც ის შეგვიძლია ვიფიქროთ, ვითომც რუფინს ცოდნოდეს ევსტათის შესახებ თქმულება და განგებ დაემალოს იგი“.<sup>38</sup>

მართლაც, ევსტათი ანტიოქიელი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ქრისტიანულ სამყაროში, რომ მისი გამგზავრება ქართლში და აქ ეკლესიის თუ ეპისკოპოსის კურთხევა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ბერძენ-რომაელ ავტორებს, ან თუნდაც ბაკურს, რომელიც გელასი კესარიელის და რუფინუსის ინფორმატორი იყო.

ამავე დროს გასათვალისწინებელია იმ დროს იმპერიაში შექმნილი მძიმე რელიგიური სიტუაცია, როდესაც ნიკეის კრების დროსაც და შემდეგაც, ეკლესიის მესვეურებს და მათ შორის ევსტათის, უხდებოდათ ბრძოლა არიოზის ერესის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. გოილაძე, „ევსტათის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა ქართლში ჩამოსვლისა თავისი ეპისკოპოსობის დროს, მას ამის საშუალება არ ჰქონდა“.<sup>39</sup>

ს. გორგაძეს მიაჩნია, რომ ქართლის ეკლესიის ჩამოყალიბების საქმეში ევსტათის სრული უარყოფა არ შეიძლება. იგი ფიქრობს, რომ სწორედ ევსტათი იქნებოდა ის მღვდელმთავარი, რომელსაც მიმართავდნენ თხოვნით, რათა ეკურთხებინა ქართლში გამოსაგზავნი ეპისკოპოსი. ამ აზრს იზიარებს თანამედროვე მკვლევარი ვ. გოილაძეც.

ს. გორგაძე მოკლედ განიხილავს ვარაუდებს სომხეთზე ქართლის ეკლესიის დამოკიდებულების და ქართლის ეკლესიის თავიდანვე დამოუკიდებლად არსებობის თაობაზე.

ს. გორგაძე სამართლიანად თვლის, რომ X საუკუნის სომეხი ავტორის უხტანესის მითითება ქართველი მღვდელმთავრის სომხეთის

---

<sup>38</sup> ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია... „მოამბე“ №5, გვ. 7

<sup>39</sup> ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 94



იერარქიაზე დამოკიდებულების შესახებ, ისტორიულ სინამდვილეში არ ასახავს. ს. გორგაძისათვის წარმოუდგენელია, როგორ შეეძლო იმპ. კონსტანტინეს „ახლად დანერგული ეკლესია შვიდის თუ რვა წლის წინეთ დაარსებულის სომეხთა ეკლესიისათვის დაექვემდებარების... მითუმეტეს, რომ სომხის ეკლესია თვით სომეხების მოწმობითვე, თავდაპირველად კესარიის მღვდელმთავარს ექვემდებარებოდა“.<sup>40</sup>

ასევე უარყოფს ს. გორგაძე და ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც სამართლიანად, იმ აზრს, რომ ქარლის ეკლესია დაარსებიდანვე დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. „ძნელი დასაჯერებელია – აღნიშნავს ისტორიკოსი – არიოზის მწვალებლობით შერყეულ ეპოქაში დაარსებული ეკლესია კონსტანტინე იმპერატორს რომლისაზე უმფროსი ეკლესიის უხელმძღვანელოდ და უზედამხედველოდ დაეტოვების“.<sup>41</sup>

ვფიქრობ ს. გორგაძის ეჭვი უსაფუძვლო არ არის. II მსოფლიო საეკლესიო კრების თანახმად, ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულ „ბარბაროსთა“ ეკლესიები იერარქიულად იმ კათედრას ექვემდებარებოდნენ, რომლისგანაც მიიღო ხელდასხმა ამ ეკლესიის პირველმა იერარქმა. ამიტომ ახლად წარმოქმნილი ქართული ქრიტიანული საეკლესიო ორგანიზაციაც თავისი ხელდამსხმელის იურისდიქციაში შევიდოდა (დროებით მაინც), და თავიდანვე მის დამოუკიდებელ არსებობაზე ლაპარაკი ძნელია.

კრიტიკულად განიხილა რა ისტორიული საბუთები და სხვა ისტორიკოსთა მოსაზრებები ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ IV-V სს., ს. გორგაძე მივიდა, ჩემი აზრით, სწორ და გასაზიარებელ დასკვნამდე: „კონსტანტინე იმპერატორის დროს და მისივე განკარგულებით საქართველოს ახლად დანერგილმა ეკლესიამ სამღვდელეობა ანტიოქიის კათედრისგან მიიღო... უკეთუ პირველი სამღვდელეობა საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიიდან მიიღო, ცხადია, ეს ეკლესია იმ თავითვე ანტიოქიის კათედრის ხელმძღვანელობის ქვეშ შესულა... არც პონტოს, არც თრაკიის და არც სხვა

---

<sup>40</sup> ს. გორგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 28

<sup>41</sup> იქვე, გვ. 26

რომელისაჲმე ეკლესიის ხელქვეშ, ანტიოქიის გარდა, ივერიის ეკლესია არასოდეს არ ყოფილა“.<sup>42</sup>

გამორიცხულია, ქართლის ეკლესია დაქვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის ან იერუსალიმის ეკლესიებს, ვინაიდან თავად ამ ქალაქების ეპისკოპოსები არ იყვნენ დამოუკიდებელნი და მეზობელი სამიტროპოლიტოების იურისდიქციაში შედიოდნენ; არა გვაქვს არავითარი საბუთი, რომელიც თუნდაც მიგვანიშნებდა ქართლის ეკლესიის იერარქიულ კავშირზე პონტოს ან თრაკიის სამიტროპოლიტოებთან; ყოვლად უსაფუძვლოა ჩვენი ეკლესიის დაქვემდებარება სომხური საეკლესიო იერარქიისადმი; საეჭვოა ის ვარაუდიც, რომ ქართლის ეკლესია დღიდან დაარსებისა დამოუკიდებელი იყო.

თავისთავად ცხადია, ქართლის ეკლესია ვერ შევიდოდა ალექსანდრიის ან რომის სამწყსოში.

ამდენად, ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს, ქართლის ეკლესია იერარქიულად დაუკავშიროთ იმ კათედრას, რომელიც ქართლის ოფიციალური გაქრისტიანების მომენტიისათვის პირველობდა აღმოსავლეთის საქრისტიანოში, ე. ი. ანტიოქიის სამოციქულო კათედრას.

სავსებით მართალია ვ. გოილაძე, რომელიც იზიარებს ს. გორგაძის აზრს და მიუთითებს, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულება გარდაუვალი იყო<sup>43</sup> და ამ დამოკიდებულების დამადასტურებელი ცნობები შემოინახეს კიდეც, როგორც ქართულმა, ისე ანტიოქურმა საისტორიო წყაროებმა.

---

<sup>42</sup> ს. გორგაძე, იქვე, გვ. 30

<sup>43</sup> ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 91



## თავი IV - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (გვ. 105-148)

ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემისადმი. არ დარჩენილა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის თითქმის არც ერთი მკვლევარი, აზრი რომ არ გამოეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამ საგნით XX საუკუნის დასაწყისის მეცნიერები. სწორედ ამ დროს გააქტიურდა ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და ეს საკითხი განიხილებოდა რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდთან არსებული საგანგებო კომისიის და რუსეთის ეკლესიის კრების წინა სათათბიროს სხდომებზე.

რუსი სამღვდელოების ნაწილს ქართველთა მოთხოვნა ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე არაკანონიერად მიაჩნდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველოს უძველესი ეკლესია არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი.

კამათმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე სხდომათა დარბაზებიდან გადაინაცვლა პრესის ფურცლებზე. სტატიები და წერილები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ქვეყნდებოდა, როგორც ქართულ, ისერუსეთის ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში. ამავე დროს დაისტამბა ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბევრი წიგნი და ბროშურა. ავტორთა შორისაა ს. გორგაძეც, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის ჯერ კიდევ სადისერტაციო ნაშრომში „ეკლესიის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა ძველ საქართველოში“, ხოლო 1905-1906 წლებში რამდენიმე საგაზეთო წერილი თუ საჟურნალო სტატია მიუძღვნა ამ პრობლემის გაშუქებას.

ს. გორგაძის აზრით, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობის გზაზე სამი საფეხური გაიარა.

ვანბანგ გორგასალის დროს შემოღებულ საკათალიკოსო მმართველობას, ს. გორგაძის აზრით, მოჰყვა ეკლესიის საშინაო საქმეებში თავისუფლება. 1901 წელს სადისერტაციო ნაშრომში ს. გორგაძე ამ თავისუფლებას განსაზღვრავდა ტერმინით „ავტოკეფალია“, თუმცა ფიქრობდა, რომ ეს ავტოკეფალია „შებლუღული“

იყო. მოგვიანებით, ავტოკეფალიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ისტორიკოსი აღარ ხმარობს ტერმინ ავტოკეფალიას და თვლის, რომ ვახტანგის რეფორმის წყალობით ქართულმა ეკლესიამ მიიღო „თვითმმართველობა“ ან „სრული ავტონომია“.

VIII საუკუნეში, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს, სერგი გორგაძის აზრით, ქართლის ეკლესია სრულიად განთავისუფლდა ანტიოქიის კათედრაზე დამოკიდებულებისაგან და დარჩა ანტიოქიელ პატრიარქთა მხოლოდ ნომინალური ზემდგომობა (პატრიარქის სახელის მოხსენიება, მატერიალური შესაწირი და ა. შ.). ამ უკანასკნელსაც, ს. გორგაძის მიხედვით, ბოლო მოეღო საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ, როდესაც გაერთიანებული ქვეყნის ერთიანი ეკლესიის საჭეთმკურთხელმა კათალიკოს-პატრიარქის ტიტული (წოდებულება) მიიღო და პატივითა და უფლებებით გაუთანაბრდა აღმოსავლეთის სხვა პატრიარქებს.

ვფიქრობ, მართალი იყო ს. გორგაძე, როდესაც ვახტანგის დროინდელი ქართლის ეკლესიის სტატუსს განსაზღვრავდა, როგორც ავტოკეფალურს, და ცდებოდა, როდესაც შემდეგში ამ ტერმინს აღარ ხმარობდა და ლაპარაკობდა მხოლოდ თვითმმართველობაზე ან ავტონომიაზე (ამ დროინდელ ქართლის ეკლესიის სტატუსის განსაზღვრისათვის ტერმინი „ავტონომია“ პირველად ს. გორგაძემ გამოიყენა. დღეს ამ ტერმინით განსაზღვრავს ჩვენი ეკლესიის ვახტანგის დროინდელ სტატუსს ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი).

ვფიქრობ, თვითმმართველობა ავტოკეფალიას ნიშნავდა. უფრო სწორად, „ავტოკეფალია“ ადგილობრივი ეკლესიის თვითმმართველობას გულისხმობდა და მეტს არაფერს. XI საუკუნეში კი მცხეთის საკათალიკოსოს აღზევებას საპატრიარქომდე სრულიად ახალ საფეხურზე აყვავდა ქართული ეკლესია და მისი პირველი იერარქი — იგი უთანაბრდებოდა აღმოსავლეთის საპატრიარქო საყდრებს.

სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა მიაჩნდა ს. გორგაძეს ქართული ეკლესიისათვის „სრული ავტოკეფალიის“ მინიჭების ფაქტად.

ასეთ შეხედულებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ავითარებდნენ ს. გორგაძის თანამედროვე სხვა ისტორიკოსებიც. იზიარებს მას თანამედროვე მკვლევართა ნაწილიც (მ. კელენჯერიძე, ვ. ნიკოლაძე, ნ. პაპუაშვილი, ვ. ფარისი და სხვ.).

ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ვახტანგის დროს ქართულმა ეკლესიამ ერთხელ და სამუდამოდ მიიღო სრული თავისუფლება,

ნაწილი ფიქრობს, რომ საკათალიკოსო მმართველობის შემოღების სრულებით არ ნიშნავდა ეკლესიის სტატუსის შეცვლას, და რომ ამით ქართლის ეკლესიას თვითმმართველობაც კი არ მიუღია.

სამივე შემთხვევაში სახეზეა ტენდენცია ტერმინ „ავტოკეფალიას“ შესძინონ იმაზე მეტი დატვირთვა, ვიდრე სინამდვილეში აქვს. ისტორიკოსთა უმრავლესობა არ ითვალისწინებს ცნება და ტერმინ „ავტოკეფალიის“ ტრანსფორმაციას საუკუნეების განმავლობაში. იმას, თუ რას გულისხმობდა იგი, ვთქვათ შუა საუკუნეებში და რას გულისხმობს დღეს. ან რას ნიშნავდა ეკლესიის თავისუფლება ძველ დროში (საპატრიარქოების ჩამოყალიბებამდე) ყოველივე ეს მიზეზია იმისა, რომ მკვლევარები ვერ შეთანხმებულან ქართლის ეკლესიის სტატუსის განსაზღვრისას.

ვერ ასცდა ამ ტენდენციას ს. გორგაძეც: საკათალიკოსო მმართველობის შემოღება (და გარკვეულწილად ამ მოვლენის დათარიღებაც) დაკავშირებულია სასულიერო პირთან: მღვდელ პეტრესთან, რომელიც პირველი კათალიკოსი გახდა, და სამოელ მონაზონთან, რომელმაც მცხეთის კათედრა დაიკავა.

ს. გორგაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ „შუშანიკის მარტვილობაში“ „ეპისკოპოსთა თავად“ მოხსენიებული სამოელი, არის პირველ კათალიკოს პეტრესთან ერთად ქართლში გამოგზავნილი სამოელი, რომელიც შუშანიკის გარდაცვალების მომენტიდან ივერ კიდევ არ იყო ნაკურთხი კათალიკოსად. ამას ს. გორგაძეს აფიქრებინებს ის გარემოება, რომ სამოელი „ეპისკოპოსთა თავად“ არის მოხსენიებული. „ეპისკოპოსთა თავი“ კი სერგი გორგაძის აზრით, არ არის კათალიკოსის ექვივალენტი და ნიშნავს იგივე მთავარეპისკოპოსს. ეს აზრი შემდეგში გაიმეორა ბევრმა მკვლევარმა და დღეს იგი საყოველთაოდ არის გაზიარებული. ვფიქრობ, ტიტულების „თავი ეპისკოპოსთა“ და „კათალიკოსი“ გაიგივება შეიძლება. „თავი ეპისკოპოსთა“ შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ მღვდელმთავარს, რომელიც საეკლესიო ორგანიზაციის სათავეში დგას (ექვემდებარება რამდენიმე ეპისკოპოსი). თუმცა არ არის გამორიცხული, რომ, როგორც ფიქრობს ს. გორგაძე, „შუშანიკის მარტვილობის“ შექმნის დროს ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, და „თავი ეპისკოპოსთა“ ნახმარია „მთავარეპისკოპოსის“ მნიშვნელობით.

მოუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა „შუშანიკის მარტვილობაში“ ნახსენებ სამოელს და პეტრესთან ერთად მცხეთის ეპისკოპოსად განწესებულ სამოელს სხვადასხვა პირებად მიიჩნევს, ვარაუდი, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სამოელთან, ინარჩუნებს არსებობის უფლებას და ამ ვარაუდს ადგას თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილიც.

### დასკვნა (გვ. 149-155)

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში ასახულია ნაშრომის ძირითადი დებულებები.

აღნიშნულია, რომ ს. გორგაძის სახით საქართველოს ჰყავდა გამორჩეული და სამაგალითო მოქალაქე-პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

მნიშვნელოვანია ს. გორგაძის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებული ადგილი უკავია მის შემოქმედებაში საეკლესიო ისტორიის პრობლემატიკას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის არაერთი საკითხი დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, ბევრ პრობლემაზე გამოთქმული ესა თუ ის თვალსაზრისი არ სცილდება ჰიპოთეტური ვარაუდის ფარგლებს, სერგი გორგაძის ნააზრევის გათვალისწინება სადისერტაციო ნაშრომის ავტორს აუცილებელ პირობად მიაჩნია.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებში:

1. მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები სერგი გორგაძისადმი, „საისტორიო მოამბე“, №№55-56, თბ., 1987.

2. სერგი გორგაძე ქართლის მოქცევის ქრონოლოგიის შესახებ, თბ., 1997.

3. სერგი გორგაძე ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის შესახებ (IV-V სს.), თბ., 1997.

На правах рукописи

Абашидзе Заал Давидович

СЕРГИ ГОРГАДЗЕ - ИССЛЕДОВАТЕЛЬ ИСТОРИИ  
ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ

специальность 07.00.02 Источниковедение и  
историография истории Грузии

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

диссертации на соискание ученой степени  
кандидата исторических наук



Работа выполнена на кафедре истории Грузии  
Тбилисского Государственного Университета им. И.  
Джавахишвили.

Научный руководитель - Доктор исторических наук,  
профессор, Академик  
М. Лордкипанидзе  
Эксперт - Доктор исторических наук,  
профессор Ш. Бадридзе  
Официальные опоненты: доктор исторических наук,  
профессор Д. Кацитадзе  
доктор исторических наук,  
профессор Г. Арахамия  
Ведущая организация - Институт рукописей  
академии наук Грузии им.  
К. Кекелидзе

Защита состоится "20" X 1997 г. в "14<sup>00</sup>"  
часов, на заседании Ученого совета "ИСТОРИИ" при  
Тбилисском Государственном Университете им. И.  
Джавахишвили.

Адрес: Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе 1  
аудитория N...

С диссертацией можно ознакомиться в библиотеке  
университета.

Аврореферат разослан 17. IX 1997 г.

Ученый секретарь  
диссертационного совета,  
Доктор Исторических наук,  
профессор

Н. Вачнадзе

*Н. Вачнадзе*

## ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА ТРУДА

В диссертационной работе впервые в грузинской исторической науке исследуется часть научного наследия выдающегося ученого, педагога и общественного деятеля Серги Горгадзе (1876-1929).

Диссертационная тема утверждена на заседании ученого совета исторического факультета Тбилисского Государственного Университета им. Иванэ Джавахишвили 19 июня 1984 г. (протокол N11) Апробация труда состоялось 30 мая 1997 г. (протокол N9)

Кафедра Истории Грузии Тбилисского Государственного Университета им. Иванэ Джавахишвили дала автору труда рекомендацию для представления труда в ученый диссертационный совет на соискание ученой степени кандидата исторических наук. К труду прилагается список использованной литературы и источников.

Диссертация состоит из введения, четырёх глав и заключения.

### ВВЕДЕНИЕ

Вторая половина XIX - начало XX вв - знаменательный период в развитии многовековой грузинской историографии. Этот период начинается с деятельности Димитрия Бакрадзе и заканчивается с приходом в науку Иванэ Джавахишвили, с именем которого связана совершенно новая ступень в развитии грузинской исторической науки.

В этот период начинает свою многогранную деятельность Серги Горгадзе, который вместе с Иванэ Джавахишвили и другими грузинскими учеными закладывает основу научного изучения истории Грузии, критического анализа грузинских исторических источников и их научно-критической публикации. По возвращении в Грузию после окончания Казанской Духовной Академии со степенью кандидата Богословия, С. Горгадзе начинает педагогическую деятельность в Ахалсенакском духовном

училище, а с 1903 года и до последних дней своей жизни он - педагог средних учебных заведений. С 1919 года С. Горгадзе преподает историю новой грузинской литературы в Тбилисском Государственном Университете.

Многоранняя общественная деятельность С. Горгадзе. Он был учредителем и в течение почти всей жизни бессменным секретарем грузинского историко-этнографического общества Грузии. В течение долгих лет избирался членом правления общества распространения грамотности.

Еще будучи студентом духовной академии, С. Горгадзе начинает заниматься научно-исследовательской работой. На IV курсе академии он пишет научный труд "Философия и ее прогресс", который затем публикуется в журнале "Моамбэ", а по окончании академии представляет кандидатскую работу "Государственное положение церкви в древней Грузии", которая получила положительный отклик известного русского ученого канониста И. Бердникова.

Научно-исследовательской работой С. Горгадзе занимался в течении всей своей жизни. Его перу принадлежат многочисленные труды по истории Грузии и грузинской литературы, истории грузинской церкви, языкознанию и истории философии. Он автор нескольких учебных пособий по истории Грузии и грузинской литературе.

Большой вклад внес С. Горгадзе в музейное дело. В течении долгих лет он возглавлял созданный им историко-этнографический музей, много сделал для собирания и сохранения музейных ценностей.

Одна из главных отраслей научной деятельности С. Горгадзе - церковная история. Его по праву можно считать одним из основателей научного изучения истории грузинской церкви.

В диссертационном труде дана оценка научного наследия С. Горгадзе именно в этой области исторической науки.



С. Горгадзе посвятил истории грузинской церкви и вопросу её автокефалии несколько научных трудов. Главный из них это монография “Начало Грузинской церкви”, которая была опубликована в журнале “Моамбэ” (NN 3, 4, 5) в 1905 году. В этой монографии автор рассматривает почти все вопросы, связанные с христианизацией Грузии - обстоятельство и причины, дата обращения, имя первого царя-христианина, первая иерархия.

В I главе диссертационного труда рассматриваются воззрения С. Горгадзе на обстоятельство и причины христианизации Восточной-Грузии. (Картли)

С. Горгадзе касается тех политических событий, на фоне которых Картли приняло Христианство как государственную религию. Учёным дана правильная оценка политическим событиям в Римской империи, деятельности императора Константина Великого. По мнению С. Горгадзе, победа Константина над Максенцием в 312 году, Миланский эдикт 313 года и в конце победа над Лицинием в 324 году, созыв при содействии Константина I-го вселенского собора в Никее, постепенно превращали Рим в христианскую державу.

Взаимоотношения Картли с Римом способствовали и христианизации первой. Христианизации Картли помимо этого, по справедливому мнению С. Горгадзе, способствовало и то обстоятельство, что в соседней Армении христианство уже имело государственный статус и то, что большая часть населения западной и юго-западной Грузии было христианской.

Кроме этого, С. Горгадзе одним из первых в грузинской историографии, обратил внимание на социально-экономические причины обращения Картли в новую религию.

Рассмотрев воззрения других историков на происхождение и национальную принадлежность просветительницы Грузии св. Нино, С. Горгадзе подчеркнул, что источники не дают основания сомневаться в том, что святую звали именно Нино и что она по происхож-



дению из Кападокии, но по этим же источникам невозможно определить её национальную принадлежность. Это, по справедливому замечанию ученого, не имеет существенного значения.

Приведя многочисленные грузинские и иноязычные источники, С. Горгадзе доказал необоснованность утверждения, что первым христианским царем Грузии был Бакур (такого мнения придерживались В. Болотов и И. Джавахишвили). По справедливому замечанию С. Горгадзе нет оснований сомневаться, что первым царем-христианином был Мириан.

## ГЛАВА II - ВОПРОС ХРОНОЛОГИИ ОБРАЩЕНИЯ КАРТЛИ

В этой главе рассматриваются изыскания С. Горгадзе в области датировки обращения Картли.

Этот вопрос вызывал и вызывает споры в историографии.

Используя строгий, критический подход к хронологическим данным грузинских летописей “Мокцеваи Картлисаи” и “Картлис Цховреба”, С. Горгадзе приходит к выводу, что определить точную дату обращения Картли, опираясь на эти данные, невозможно.

По справедливому мнению С. Горгадзе определить приблизительную дату обращения Восточной Грузии можно только путём сопоставления исторических сведений (а не дат) грузинских источников с данными иноязычных источников и фактами мировой истории.

Проследивая исторические события Картли и соседних стран, сопоставляя факты и учитывая данные греко-римско-армянских источников, С. Горгадзе приходит к мнению, что приблизительная дата обращения Мириана и части населения в христианство - вторая половина 323-года, а дата прибытия в Грузию священнослужителей и крещения народа - 326 год.

Учитывая, что дата крещения Картли до сих пор окончательно не установлена и, что некоторыми современными учеными предлагается приблизительно та же хронология, мнение С. Горгадзе имеет полное право на существование.

### ГЛАВА III - ИЕРАРХИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ В IV-V ВВ.

По этой проблеме в историографии также нет единого мнения. Часть ученых считает, что до получения автокефальности в V веке, грузинская церковь подчинялась Константинопольской церкви. Другая же часть думает, что грузинская церковь входила в состав независимого Понтийского Митрополитства, а затем после присоединения последнего к Константинопольскому Патриархату, причислена к Антиохийскому престолу.

Существовало мнение, что грузинская церковь иерархически входила в состав Иерусалимского Патриархата или армянской церкви.

Рассмотрев все эти мнения, С. Горгадзе доказал их несущественность.

Ни константинопольский, ни Иерусалимский престолы со времени обращения Картли не могли подчинить себе какую-либо другую церковь, будучи сами зависимы от других митрополитов. Армянская церковь также подчинялась митрополиту Кессарии. Нет никаких достоверных данных, причисляющих грузинскую церковь к Понтийской.

Поэтому, по справедливому мнению С. Горгадзе, грузинская церковь, надо полагать, с начала своего существования до приобретения независимости, зависела от Антиохийского престола, который тогда первенствовал на Востоке, и епископ которого Евстафий хиротонисал первого епископа для Грузии.

### ГЛАВА IV - АВТОКЕФАЛИЯ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ

Этот сложный и с канонической и исторической точек зрения вопрос рассматривался многими учеными.

Определенный вклад в изучение этой проблемы внёс и С. Горгадзе.

Вопросу автокефалии ученый посвятил несколько статей и очерков, а также коснулся его и в диссертационной работе.

По мнению С. Горгадзе грузинская церковь на пути автокефалии прошла три этапа: I - учреждения во время царя Вахтанга Горгасала католикосского правления, что привело к самоуправлению или “полной автокефалии”; II - почти полная независимость (номинальная независимость) от Антиохии со времен патриарха Феофилакта (VIII в), и III - полная независимость и автономия со времени объединения Грузии в XI веке.

Этой схемы придерживались и придерживаются по сей день и некоторые другие историки.

По мнению автора настоящей диссертационной работы прав был С. Горгадзе, когда в своем труде “Государственное положение церкви в древней Грузии”, определял статус грузинской церкви понятием (термином) автокефалия.

Но затем ученый заменил термин “автокефалия” термином “автономия” (впервые употребив этот термин в грузинской историографии для определения статуса церкви), ошибочно усмотрев в самоуправлении только автономные права.

Эту же ошибку допускают и другие историки, придавая понятию “автокефалия” большую значимость и смысл, чем оно в действительности содержит.

Самоуправление церкви и было автокефальностью. Точнее автокефальность значила самоуправление - и только, но некоторая зависимость от кириархальной церкви все же оставалось.

Положение полностью изменилось, когда грузинское католикосство было возведено в ранг Патриархии и приравнено к Восточным Патриархатам. Здесь уже нет никакой зависимости, и в этом С. Горгадзе прав.

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

В этой части диссертационной работы даётся заключительная оценка общественной и научной деятельности С. Горгадзе. Отмечено, что в лице С. Горгадзе Грузия первой четверти XX в. имела выдающегося общественного деятеля и талантливую ученого.

С. Горгадзе внёс существенный вклад в дело научного изучения истории грузинской церкви.

Может быть некоторые воззрения ученого в настоящее время не приемлемы, но это нисколько не умаляет его научных заслуг.

Учитывая то обстоятельство, что многие вопросы истории грузинской церкви по сей день до конца не выяснены, рассмотрение научного наследия С. Горгадзе в этой области является важным и нужным делом.

ОСНОВНЫЕ ВЫВОДЫ ДИССЕРТАЦИИ ОПУБЛИКОВАНЫ:

1. Переписка ученых и общественных деятелей с С. Горгадзе - "Исторический вестник" NN 55-56, 1987 г.
2. С. Горгадзе об иерархическом положении грузинской церкви в IV-V вв. Тбилиси, 1997 г.
3. С. Горгадзе о хронологии обращения Картли, Тбилиси, 1997 г.



აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტი“

---

✉ ჩუბინაშვილის ქ. № 50 ☎ 96-75-43

[20]

042/4

